საკონსულტაციო მომსახურება „ჩიფსის შეფუთვის და სოციალური მედიის პოსტერების დამზადება“ სოციალური საწარმოსთვის „ჩემპი - CHAMPY”

ტექნიკური დავალება

აქციო-Actio

საქართველოში პირველი გავლენის ფონდი „აქციო“, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მიერ 2022 წელს დაფუძნდა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი საქართველოში ერთ-ერთი პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა. შესაბამისად, CSRDG-ს სამოქალაქო სექტორში წარმატებული საქმიანობის 27 წლიანი გამოცდილება აქვს. CSRDG-ის მისიაა საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა. ორგანიზაციის დაარსების დღიდან, ჩვენი გუნდი ორიენტირებულია ისეთ შედეგებზე, რომლებიც პოზიტიურ ცვლილებებს მოუტანს, როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე მთელს საზოგადოებას. 2009 წლიდან CSRDG-მ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად საქართველოში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის განვითარებაზე დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ ცენტრმა ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა გაუწია 50-მდე სოციალურ საწარმოს, სხვადასხვა ღონისძიებით ხელი შეუწყო კონცეფციის პოპულარიზაციას, დაიწყო სექტორის საჭიროებების ადვოკატირება ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების დონეზე. 2022 წლის ივნისში CSRDG-მ ევროკომისიისა და ვენჩურული ფილანტროპიის ევროპული ასოციაციის მხარდაჭერით გავლენის ფონდი "აქციო" დააფუძნა. აქციო წარმოადგენს ახალ, თანამედროვე, შესაძლებლობას მოქმედი სოციალური საწარმოებისთვის, განავითარონ ბიზნესი და გაზარდონ სოციალური გავლენა. აქციო ასევე წარმოადგენს სანდო შესაძლებლობას როგორც კორპორატიული, ისე კერძო ინვესტორებისთვის, შეიტანონ წვლილი გრძელვადიანი სოციალური გავლენის შექმნასა და საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

ინფორმაცია პროექტის შესახებ

2021 წლის იანვარში, ევროკომისიის გენერალური დირექტორატის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების საკითხებში (DG NEAR) ფინანსური მხარდაჭერით და Impact Europe პარტნიორობით დაიწყო 56 თვიანი საერთაშორისო პროექტი სახელწოდებით “თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის - სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. (Collaborate for Impact - development of social entrepreneurship and social investments towards economic and social cohesion in the Eastern Partnership)“, რომელსაც საქართველოში ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG). პროექტის წამყვანი განმახორციელებელი ორგანიზაციაა Impact Europe, ხოლო პარტნიორები: SILab Ukraine, EduHub, Ecovisio და Impact Hub Yerevan.

<u>პროექტის მიზანი:</u>

პროექტის მიზანია სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ეკოსისტემის განვითარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაგეგმილია ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება, სოციალური ინოვაციების პოპულარიზაცია, გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებისათვის, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს გავლენის ინვესტორებისა და სოციალური საწარმოების რაოდენობის ზრდასა და თანამშრომლობის გაღრმავებას რეგიონში. ეს კი დაეხმარება სოციალურ საწარმოებს, გააუმჯობესონ თავიანთი სოციალური შედეგები და გაზარდონ სოციალური გავლენა.

<u>სოციალური საწარმო "ჩემპი - CHAMPY"</u>

'ჩემპი' 3 სტუდენტის მიერ, გორის რაიონის სოფელ დიცში, საოკუპაციო ხაზთან დაფუძნებული ინოვაციური და ნატურალური სნექების სოციალური საწარმოა. 'ჩემპის' მისიაა გორის რაიონის საზღვრისპირა (საოკუპაციო ხაზთან მდებარე) სოფლების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა და უნარჩენო წარმოების განვითარება ინოვაციური ჯანსაღი სნექების წარმოების გზით. საწარმოს სოციალური მიზნებია: რეგიონში მცხოვრები ქალებისთვის მუდმივი, ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნა და შემოსავლის წყაროს გაჩენა. ამ გზით, მათი გაძლიერება და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; ბიზნეს საქმიანობაში ახალგაზრდების ინტეგრაცია და პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული სტაჟირების პროგრამები; მცირემიწიანი ფერმერების მიერ მოყვანილი არასტანდარტული ნედლეულის (ნასეტყვი, ნაქარი) რეალიზაციის პრობლემის მოგვარება; უნარჩენო წარმოების განვითარება ინოვაციური ხრაშუნა ტყლაპის - 'ცმაცის' შექმნით. ამ ეტაპზე, „ჩემპი' აწარმოებს შემდეგი სახეობის პროდუქციას:

- წითელი ვაშლის ჩიფსი 'აიდარედი' (25 გ.)
- მწვანე ვაშლის ჩიფსი 'გრანი სმიტი' (25 გ.)
- ჟოზეს ვაშლის ჩიფსი (18 გ.) - ჟირაფი ჟოზეს გამოსახულებით (ლიცენზია)
- „ცმაცი" (20 გ.) - ვაშლის ნარჩენებით შექმნილი ხრაშუნა ტყლაპი

პროდუქცია დამზადებულია დამფუძნებლების მიერ შემუშავებული ინოვაციური შრობის ტექნოლოგიით. პროცესში ნედლეულიდან მხოლოდ წყალი გამოიდევნება და ხილის ყველა სასარგებლო თვისება ნარჩუნდება. ტექნოლოგიის შედეგად პროდუქტს ახასიათებს 3 მთავარი კონკურენტული უპირატესობა: **თხელი სლაისი, ბუნებრივი ფერის (მიმზიდველი) ვიზუალი და ჩიფსის ხრაშუნა ტექსტურა.** 'ჩემპის' პროდუქცია იყიდება თბილისის წამყვან სუპერმარკეტებში (ევროპროდუქტი, აგროჰაბი, გუდვილი, ნიკორა). ასევე, დაწყებულია ექსპორტის მიმართულება აშშ-ში. ვმუშაობთ აღნიშნულ ბაზარზე დამკვიდრებასა და სხვა სტრატეგიული საექსპორტო ბაზრების ათვისებაზე (ევროპისა და შუა აღმოსავლეთის

ქვეყნები). მიმდინარე ეტაპზეა 2 ახალი ხაზის დამატება: ვაშლის ჩიფსის ენერჯი მიქსი (ქსელებში დასამატებლად) და ჟოზეს ვაშლის ჩიფსის პატარა ვერსია სკოლებში განსათავსებლად.

Facebook: fb.me/champysnacks
Instagram: @champysnacks
Tiktok: champy_snacks

<u>**დავალების აღწერა და მიზნები:**</u> ამ დავალების მიზანია:

1. არსებული ბრენდის გაიდლაინების მიხედვით 2 ახალი სახეობის პროდუქტის შეფუთვის დიზაინის შექმნა: ვაშლის ჩიფსის ენერჯი მიქსი, ჟოზეს ვაშლის ჩიფსის სკოლის შეფუთვა;
2. არსებული პროდუქციის შეფუთვის დიზაინების მცირედი ცვლილება (საქართველოს დროშის დამატება, ჯანსაღი მახასიათებლების ნიშნების წინა გვერდზე გადმოტანა და საწარმოს მისიის გამომხატველი წარწერა ან სლოგანი (წარმოების ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მდებარეობის გათვალისწინებით)), ასევე, არსებული დიზაინის ზიპ პაკეტზე მორგება.
3. აშშ ბაზრისთვის შექმნილი 30 გრამიანი შეფუთვის დიზაინების ზომის ცვლილება (შემცირება), 20 გრამიანი შეფუთვით. ასევე, არსებული დიზაინის ზიპ პაკეტზე მორგება.
4. განახლებული დიზაინებით 15 ფოტო-პოსტი სოციალური მედიისთვის:
   5 ფოტო-პოსტი საბავშვო შეფუთვების
   5 ფოტო-პოსტი ორიგინალი შეფუთვების
   5 ფოტო-პოსტი ვაშლის ჩიფსის ენერჯი მიქსის

საბოლოო პროდუქტი Deliverables

- მთავარი ანგარიში (მაქს. 5 გვერდი);
- პროდუქტის შეფუთვის დიზაინების საბეჭდი ფაილები;
- 15 ფოტო-პოსტი;

დაინტერესებულმა პირებმა ან/და ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ დოკუმენტაცია ტექნიკურ დავალებაში აღწერილი მოთხოვნების შესაბამისად.

შემოთავაზების დოკუმენტები უნდა მოიცავდეს:

- დაინტერესებული პირის ან/და ორგანიზაციის პორტფელს;
- სამუშაო გეგმას ვადების მითითებით და სამუშაო მეთოდოლოგიას;
- სამუშაო დღეების რაოდენობას

- ბიუჯეტს დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ჩათვლით და მის გარეშე;

გთხოვთ, მოთხოვნილი დოკუმენტები და ფინანსური წინადადებები წარმოადგინოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ekaterine.iluridze@csrdg.ge, არაუგვიანეს 2024 წლის 18 აგვისტოს 00:00 საათისა.
გთხოვთ, სათაურის ველში მიუთითოთ „ჩემპი-საკონსულტაციო შეთავაზება “.

სამუშაო ვადები/დროის განრიგი: ზემოაღნიშნული სამუშაოს შესრულებისთვის გათვალისწინებულია ერთი კალენდარული თვე.

საკონტაქტო პირები:
საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი (CSRDG)
ანა ეკატერინე ილურიძე
Mobile: +(995)599-69-11-12;
Mail: ekaterine.iluridze@csrdg.ge